მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №10

ქ. მარტვილი 26 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლაშა ქობალია, ალექსანდრე გრიგალავა, ჯამბულ ხუროძე, მინდია გაბისონია, კობა ასაბაშვილი, ელენე კოკაია.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ქობალია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ლაშა ქობალიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-ლაშა ქობალია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლაშა ქობალიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები და შესაბამისი დადგენილების პროექტი და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ საკითხი წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ საკითხი და აღნიშნული საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლაშა ქობალია